

**გაერთიანებულ დოკუმენტში (MS Word-სა და იდენტური შინაარსის შემცველ PDF-ში)
გთხოვთ შეიტანოთ შემდეგი მონაცემები:**

1. თეზისების სათაური ქართულად;
2. თეზისების სათაური ინგლისურად;
3. ავტორის სახელი და გვარი ქართულად;
4. ავტორის სახელი და გვარი ინგლისურად;
5. ორგანიზაციის დასახელება ქართულად;
6. ორგანიზაციის დასახელება ინგლისურად;
7. ფაკულტეტის დასახელება ქართულად;
8. ფაკულტეტის დასახელება ინგლისურად;
9. თეზისების ძირითადი ტექსტი გამოყენებული ლიტერატურის სიითურთ (MS Word-ით და pdf-ფორმატით) ქართულად;
10. თეზისების ძირითადი ტექსტი გამოყენებული ლიტერატურის სიითურთ (MS Word-ით და pdf-ფორმატით) ინგლისურ ენაზე; ლიტერატურის სიისთვის გამოიყენეთ ტერმინი: **References**;
11. 3-5 საკვანძო სიტყვა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
12. შრიფტი — **UNICODE (Sylfaen)**
13. ფორმატი — **A4**
14. თავფურცელი გააფორმეთ შემდეგი თანმიმდევრობით:
 - სათაური — **24 ზომის** შრიფტით ცენტრში;
 - ავტორები — **16 ზომის** შრიფტით ცენტრში;
 - ორგანიზაცია, მაგ., „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ — **14 ზომის** შრიფტით ცენტრში;
 - ფაკულტეტის დასახელება — **14 ზომის** შრიფტით ცენტრში;
 - ბოლოს — **საკვანძო სიტყვები**.
15. თეზისების /სტატიის ძირითადი ტექსტი დაიწყეთ მომდევნო, ახალი გვერდიდან, **12 ზომის** შრიფტით.
16. ფოტოების და სხვა გრაფიკული გამოსახულების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს JPG ფორმატში.
17. თეზისის მოცულობა: 300 სიტყვა თითოეულ ენაზე.

გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესი:

1. წიგნის/კრებულის მითითებისას:
 - გამოცემის თარიღი;
 - გამომცემლობა;
 - სტატიის შემთხვევაში ჟურნალის (კრებულის, რომელშიც განთავსებულია სტატია) დასახელება;
 - ჟურნალის (კრებულის), წიგნის, წიგნის ნაწილის, ღონისძიების **ISSN, ISBN**;
 - სპონსორ(ებ)ის დასახელება, თუ თქვენი კვლევა შექმნილია რომელიმე ფონდის ფინანსური მხარდაჭერით;

2. ბიბლიოგრაფიული დამოწმებისას ტექსტში დასახელებული ყველა ავტორი მიეთითება APA-ს სტილის დაცვით (ანბანის თანმიმდევრობით):

2.1. წიგნის მითითების ნიმუში:

კვაჭაძე, ლ. (1977). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: „განათლება“

შანიძე, ა. (1953). ქართული გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“

2.2. სტატიის დამოწმების წესი ბიბლიოგრაფიაში:

- 2.2.1. ელექტრონული: ვებგვერდის მითითებამდე აუცილებელია ავტორის, წიგნის/სტატიის სათაურის, ჟურნალის, ჟურნალის ნომრის (# და № სიმბოლოების გარეშე), გვერდის (გვ.-ს გარეშე) გამოყოფა წერტილით, და ამის შემდეგ ვებგვერდის მისამართის მითითება; **სათაურის დამაზუსტებელი ქვესათაური უნდა გამოიყოს ორწერტილით (მაგ., ხევისურულის თავისებურებანი: ტექსტებითა და ინდექსით)**. ავტორის გვარი უნდა იყოს მარცხნივ გაწეული, დამოწმების ყველა მომდევნო სტრიქონი — შეწეული (TAB-დილაკით), მაგ.:

ნიკოლაიშვილი, მ. (2012). რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციებს ქართულში? „სპეკალი“, 5. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49>

- 2.2.2. ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში კრებულში მოცემული სტატიის გვერდები მიეთითოს პირდაპირ, მძიმით გამოყოფილი ტომის ნომრის შემდეგ, დეფისით:

შარაშენიძე, თ. (1955). ენათა კლასიფიკაცია ენობრივ წრეებად ვილჰელმ შმიდტისა, იკვ, VII, 1-31, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“

3. ბიბლიოგრაფიის ინგლისურ ვერსიაში ნაშრომის სათაური მიუთითეთ ჯერ ქართული სიტყვების ტრანსლიტერაციით, უთარგმნელად, ლათინური ასოებით, რომელსაც წერტილის შემდეგ მოჰყვება კვადრატულ ფრჩხილში ჩაწერილი ინგლისურად თარგმნილი სათაური);

Chincharauli, A. (1960). Khevsurulis taviseburebani: tekstebita da indeksit. [Peculiarities of Khevsur: with texts and an index]. Tbilisi: press of the Georgian SSR Science Academy.

4. სტატიის ციფრული იდენტიფიკატორის (DOI) არსებობის შემთხვევაში (როგორც წესი, გამოიყენება ვებმისამართის ნაცვლად) საჭიროა ვებმისამართის პრეფიქსის (**https://**) მითითება: **https://doi.org/საიდენტიფიკაციო ნომერი** (როგორც წესი, 10-ით იწყება):

✘ doi: 10.1080/02626667.2018.1560449

✔ <https://doi.org/10.1080/02626667.2018.1560449>

ციტირების წესები სრულად იხ. APA-ს სტილის ბოლო გამოცემის ოფიციალურ (განახლებულ) ვებგვერდზე: <https://apastyle.apa.org/>